

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

№ 446/03

18 აგვისტო 2014 წ.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების
გავლის გარეშე სტუდენტთა ჩარიცხვის შესახებ

“უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, 52-ე მუხლის მე-3 პუნქტის, „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წესდების“ მე-14 მუხლის შესაბამისად და “აბიტურიენტებისათვის / სტუდენტებისათვის ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის უფლების მინიჭების თაობაზე” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 15 აგვისტოს №915 ბრძანების გათვალისწინებით,

ვბრძანებ:

I. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის ინგლისურენოვან პროგრამაზე ჩარიცხულ იქნენ შემდეგი მოქალაქეები:

1. ისააკ იიფე ჯონ - ინდოეთის რესპუბლიკა;
2. აშლინ კურიან - ინდოეთის რესპუბლიკა;
3. ნამითა ნოელ ქრისტიან - ინდოეთის რესპუბლიკა;
4. ჰაზალ თურელი - თურქეთის რესპუბლიკა;
5. ნანტინი მუტუკუმარ - ინდოეთის რესპუბლიკა;
6. არუნ მაღიაკკალ ბობან - ინდოეთის რესპუბლიკა;
7. პრეის აბიმბოლა ბინორან - ნიგერიის ფედერაციული რესპუბლიკა;
8. აშვან ტომას - ინდოეთის რესპუბლიკა.

II. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის ინგლისურენოვან პროგრამაზე ჩარიცხულ იქნენ შემდეგი მოქალაქეები:

1. ოსმან ქაფლან – თურქეთის რესპუბლიკა;
2. იუსუფ იუზუჯუ – თურქეთის რესპუბლიკა.

III. ამ ბრძანების პირველ და მეორე პუნქტით განსაზღვრულ სტუდენტებს ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადა განესაზღვროს 2014 წლის 30 ოქტომბრამდე.

IV. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ბრძანების გამოქვეყნება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

V. ბრძანება ეგზავნება ვიცე-რექტორს რ. ბერიაშვილს, უცხოელ სტუდენტთა განათლების დეპარტამენტის უფროსს დ.თოფურიას, მედიცინის ფაკულტეტის დეკანს თ. ჩიქოვანს, საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსს ი. ავალიანს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს ზ. ტალახაძეს, სასწავლო პროგრამების მართვის, შეფასებისა და სტუდენტთა რეგისტრაციის დეპარტამენტის უფროსს რ. რუხაძეს, ფინანსური რესურსების მართვის და აღრიცხვა-ანგარიშგების დეპარტამენტის უფროსს ნ. მარიამიძეს, მთავარ ბუღალტერს ი. დოლიძეს.

VI. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პოფესორი ზურაბ ვადაჭკორია

რექტორი